№ 143 ივლისი 7, შაბათი 1890 ივლისი 7, შაბათი № 143

# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„Иверія“ (ежедневно).
КУТАИСЪ
2-й гильд. куп. Беро гр.
Пурцхванидзе.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აფშილის ქუჩა, თ. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1890 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1890

გაზეთი „ივერია“ პირველის ივლისიდგან წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

## Отъ конторы редакціи

Всѣ объявленія, происходящія извнѣ Кавказской Области, принимаются исключительно въ центральной конторѣ объявленій бывш. Л. Метцль, въ Москвѣ, на Мясницкой, домъ Спиридонова.

## ახალი ამბავი

*** გამგებელი სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა უკვე ჩამოვიდა ტფილისს და ზოგიერთი მოხელენიც. ჯერ ბანკისათვის სახლები არ დაუჭერიათ და მინამ სახლებს დაიჭერენ, ამბობენ, გამგებელი, რომელიც ჩამომხდარა სასტუმროში „Сѣверные Номера“, მიიღებს თხოვნას ბანკიდამ სესხის აღების მსურველთაგან ჯერ ხანად დასაფასებელ ფულის გამოურთმევლად, რადგანაც ჯერ კასსირი არ მოსულა და არც კვიტანციებია თურმე შემზადებული. მარტო იმისთანა მამულებს მიიღებენ გირაოდ, რომელიც კანონიერად გამიჯნულია და რომელზედაც პლანია აღებული. ვენახებიც მიღებულ იქმნებიან გირაოდ და როგორც ვენახების დაფასების თაობაზე, ისეც ერთობ მამულებისაზედაც არავითარი წინად განსაზღვრული წესი არ არის ჯერ დადებული და ეგ წესი უსათუოდ შეფერებულ იქმნება აქაურ მამულების ვითარებასთან. ბანკი იმოქმედებს არა მარტო ორს გუბერნიაში,—ტფილისისა და ქუთაისისაში,—როგორც აქამომდე უწყებულ იყო, არამედ მთელს ამიერ კავკასიაში და ყოველ ცალკე გუბერნიიდამ თავად-აზნაურთაგან ამორჩეული ორი დეპუტატი უნდა იყოს წარმომადგენლად ბანკის საქმეთა წარმოებაში. ჯერ ხანად მარტო ორი დამფასებელი ეყოლება ბანკსა და, თუ საჭიროება მოითხოვს, კიდევ მოუმატებენ. დამფასებელნი რუსეთიდამვე არიან გამოგზავნილნი. სათავად-აზნაურო ბანკთანვე დაარსებულ იქმნება საგლეხკაცო ბანკიცა და ამის დაარსება ჯერ ხანად დაყოვნებულია, ვიდრე სათავად-აზნაურო სახელმწიფო ბანკი თავის კვალსა და რიგში ჩასდგება.

*** გუშინ-წინ, 5 ივლისს, საოპერეტო დასმა მესამე წარმოდგენაზედ ითამაშა ლაკობის კომიკური ოპერა „მადამ ბონიფასი“, რომელიც არაფერი შეილია—არც შინაარსითა და არც მუსიკის მხრით, ასე რომ, საკვირველია, რად ამოურჩევია ასეთი ოპერა წარმოსადგენად. მთელს ოპერაში მხოლოდ ერთად-ერთი ადგილი მოეწონა საზოგადოებას, ქ-ნ ბელსკაიას მიერ მესამე მოქმედებაში ნამღერი ვალსი, საზოგადოების სურვილით რამდენჯერმე განმეორებული, და ისიც სხვა ოპერიდგან არის ჩაკვრებული. საზოგადოება წინანდელზედ ნაკლებად დაესწრო. საუცხოვოდ წარმოადგინეს თავ-თავიანთი როლი ბ-ნმა როდონმა და ქ-ნმა ბელსკაიასამ. ეს საოპერეტო დასი სულ კიდევ ოთხს წარმოდგენას გამართავს, სხვათა შორის წარმოადგენს ახალს ოპერეტს: „Изъ тюрьмы къ вѣнцу“ და ამას გარდა «ბოკაჩიოსა» და «მშვენიერს ელენეს».

*** ბ-ნ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბესარაბიის გუბერნიიდგან ამ დღეებში ტფილისს ჩამოვიდა ბეითალი კ. ა. იურკევიჩი, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს აქაურის პირუტყვების მდგომარეობა, სხვა-და-სხვა სენი პირუტყვისა და ისიც, თუ რა საშუალებითა სწამლობენ ჩვენში ამ სენს.

*** ბ-ნ ილარიონ გლახუას ძის შარაბიძისაგან, რაჭის მაზრის სოფელს სადმელიდგან, მივიღეთ ექვსი მანათი, ერთს ოჯახში შეგროვილი, სამი მანათი ცეცხლისაგან დაზარალებულ წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ და სამი მანათიც დ. ზ.-ძის ბაქრაძის სახელობაზედ დაარსებულ ფონდის სასარგებლოდ. ამ ფონდისა აქამდე იყო 799 მან. 22 კაპ. ეხლა იქნება 802 მან. 22 კაპ. აი შემომწირველთა სია. გლახუა გლახუას ძე შარაბიძე 1 მან., ერმალოზ გლახუას ძე შარაბიძემ 1 მან., სიმონ გლახუას ძე შარაბიძე 1 მან., ნიკოლოზ გლახუას ძე შარაბიძე 1 მან., ილარიონ გლახუას ძე შარაბიძე 1 მან., ბესარიონ ერმალოს ძე შარაბიძე 25 კაპ., ნატალია ფონჯიკიძის ასული შარაბიძისა 25 კაპ., იელიტე ჯანგიძის ასული შარაბიძისა 25 კაპ., მართა სიმონის ასული შარაბიძისა 25 კაპ.

*** ქუთაისი: ჩვენს ქუთათურს ხელოსნებსაც დაუდგათ დრო არჩევანებისა. ოც-და-ათს მაისს იყვნენ მოწვეულნი სახელოსნო დარბაზში, შეიკრიბნენ და დაიწყეს საუბარი არჩევნების შესახებ, ხელოსანთა თავი უნდა აერჩიათ. ჯერ ხელოსანთა კრებას საუბარი არ გაეთავებინა, რომ წარმოდგა ეხლანდელი ხელოსანთა მმართველი და განუცხადა კრებას, რომ დღეს უსათუოდ კენჭი უნდა მიყაროთო. კრებამ ამ სურვილის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ჯერ ანგარიში ჩამოვართვათ უწინდელს თავს ხელოსნებისას და კენჭის ყრა მერე ისე დავიწყოთო. ამოირჩიეს ექვსი კაცი კომისიის წევრებად, დაავალეს და მიანდეს ანგარიშის ჩამორთმევა. კომისია გულ-მოდგინედ შეუდგა თავის საქმეს და გაათავა კიდეც ანგარიშები. როგორც ისმის, ბევრი ნაკლულევანება ამოუჩენია კომისიას. დღეს, 4 ივლისს, ხელოსნები თეატრის დარბაზში არიან მიწვეულნი, სადაც კომისიამ თავისი მოხსენება უნდა წაიკითხოს. ამ მოხსენების წაკითხვისა და საქმის ვითარების დაწერილებით შეტყობის შემდეგ ახალის ხელოსანთა თავის არჩევანს უნდა შეუდგეს კრება.

*** გურია: წარსულ წლამდე, როგორც გაზეთ „ივერიაში“ იყო მოხსენებული, გურიაში არ იცოდნენ, თუ არაყი გამოიხდებოდა და გამომხდელს რაიმე მოგება დარჩებოდა. წარსულ წელს-კი რამდენმამე აქციზის მოხელემ აუხსნა გურულებს, თუ რანაირად შეეძლოთ მოწმობის აღება და რა მოგება დარჩებოდათ არაყის გამოხდით მწარმოებლებს. წელს-კი თითქმის ყველა გურულმა იცის, რა მოგება ყოფილა არაყის გამოხდისაგან. ამიტომ წარსულს წელს თუ 72 არაყის ქარხანა დაარსდა გურიაში, წელს ამ რიცხვმა 300-მდე აიწია. აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ნარდად არაყის მსყიდველი არ მოეპოვებათ ჩვენს მწარმოებლებს და ამიტომ იძულებულნი არიან თავიანთ მიერ გამოხდილი არაყი ქუთაისსა, ფოთსა და ბათუმში წაიღონ და საქონლის ნახევარი გზაში დახარჯონ. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ერთი-ორი ვინმე დიდი ვაჭარი მოსულიყო და ნარდად ევაჭრა. ამით თითონაც ბევრს ისარგებლებდა და აქაურ არაყის გამომხდელსაც ასარგებლებდა.

*** ოზურგეთი: მოწყენილობა

## ფელეტონი

### განათლებისა და სწავლის დღესასწაული

12 იანვარს. *)

(ლ. ტოლსტოისა)

სოფლის დღეობასა და დღესასწაულებზედ საშინელი იქნება-ლა განა რამე? ისე აშკარად რაღა უმტკიცებს ადამიანს ხალხის ნადირსა და უსაძაგლესს ცხოვრებას, როგორც სხვა-და-სხვა ობა და დღესასწაული. ამ საცოდავებს წესიერი ცხოვრება აქვთ, ჯანის მარგებელსა და ზომიერს საჭმელსა ჰხმარობენ, გულ-მოდგინედ ჰშრომობენ და ჰმუშაობენ, ერთმანეთში მეგობრული მისვლა-მოსვლა აქვთ... ასე სცხოვრობენ ერთს კვირას, ხშირად თთვესაც-კი, და უეცრად ეს კეთილი ცხოვრება სრულიად უმიზეზოდ და უსაბაბოდ აეშლებ-დაეშლებათ ხოლმე. ერთს დღეს ყველანი ერთად თავს ანებებენ მუშაობას, შუადღიდგან შეუდგებიან არა-ჩვეულებრივ გემრიელ საჭმლებისა და ლუდისა და არყით დატკბობას. ყველანი ჰსვამენ; მოხუცები ახალგაზდებსა და ყმაწვილებსაც-კი ასმევენ. ყველანი ულოცავენ ერთმანეთს, ჰკოცნიან, ეამბორებიან, ჰყვირიან, ლექსებსა ჰმღერიან, ხან აჩვილებულის გულით ტირილს მოჰყვებიან ხოლმე, ხან გულს მოიცემენ და ერთმანეთს უწყრებიან; ყველა ჰლაპარაკობს და მსმენელი, გამგონე-კი აღარავინ არის; ასტყდება ყვირილი და ყიჟინა, უსიამოვნობა და აურზაური და ხშირად ჩხუბიც-კი. საღამოზედ ზოგი ბარბაცებს, ეცემა და იქ ამოუშვებს ხვრინს, სადაც მოჰხვდება; ზოგს, რომელსაც კიდევ ძალა აქვს მუხლებში, სახლში წაიყვან-წამოიყვანენ ხოლმე, დანარჩენნი-კი იქავე დაეყრებიან, ჰგორავენ და ჰაერს არყის საძაგელის სუნით ავსებენ.

მეორე დღეს ყველა ესენი ავადმყოფნი გამოფხიზლდებიან ხოლმე და მეორე ობამდე ცოტ-ცოტა ჯანსა და ღონეზედ მოდიან, ჰმუშაობენ.

რა მინდაო? რა ამბავიაო? დღესასწაული გახლავთ, ხატობა, ერთგან ერთის ეკკლესიის ობაა, მეორეგან—მეორესი, მესამეგან—მესამისა. რა მნიშვნელობა აქვს ამ ეკკლესიის დღესასწაულს? არავინ იცის. იციან მხოლოდ, რომ ობააო, და ქეიფობენ, მოუთმენლად ელიან ამ დღეს და შრომით მოქანცულნი დიდის სიამოვნებით ეძლევიან განცხრომას.

დიაღ, მუშა, მშრომელი ხალხი ამით აშკარად ამტკიცებს თავისის გონების სიბნელეს, თავისს არა-ადამიანობასა და ნადირობას. ქეიფი და ღვინო ისეთი საცდურია, რომელსაც ვერაფრით ვერ ეწინააღმდეგება და ვერ უმაგრდება. დადგება დღეობა და ყოველი მათგანი მზად არის იმდენი ჩაჰლიოს, რომ ადამიანობის ყოველივე ნიშან-წყალი და მსგავსება დაჰკარგოს.

დიაღ, ნადირი ხალხია, ნადირი. მაგრამ აგერ იანვრის 12 დადგა და გაზეთებში შემდეგი განცხადება იბეჭდება: „მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულთა საამხანაგო სადილი გამართული იქნება 12 იანვარს, საღამოს 5 საათზედ, მოსკოვის უმთავრესს სასტუმროში. კაცის თავზედ 6 მანეთია ხარჯად დადებული“.

ასეთი სადილი ერთი-კი არ არის, ათობით იქნება, მოსკოვშიაც, პეტერბურგშიაც, პროვინციაშიაც. 12 იანვარს დღესასწაულია უუმხცოვანესის რუსეთის უნივერსიტეტისა, დღეობაა რუსთა განათლებისა და სწავლის მიღებისა. განათლებულნი თავისს ობასა დღესასწაულობენ.

ადამიანს, პირველ შეხედვით, ასე ეგონება, რომ ეს ორივენი, სულ არა-მსგავსნი ერთმანეთისა, ნადირსავით მცხოვრებნი გლეხნი, რომელნიც სხვა-და-სხვა ხატობასა დღესასწაულობენ, და განათლებულნი, ნასწავლნი, განათლებისავე დღეობის მოდღესასწაულენი, თავისს ლხინს სულ სხვა-და-სხვა გვარად უნდა იხდიდნენო. დიაღ, ასე ეგონება, ნამდვილად-კი თვით უუგანათლებულესი კაცის დღესასწაული მხოლოდ გარეგნად განსხვავდება და არა ჰგავს ნადირ ხალხის ხატობას. გლეხები სხვა-და-სხვა ხატს იღებენ მიზეზად, რომ ჰამონ და სვან; განათლებულნი წმ. ტატიანეს ობას იხვევენ ხელზედ, რომ გამოძღნენ და გაილეშონ, თუმცა ამ გამოძღომას წმ. ტატიანესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. გლეხები უბრალო საჭმელს, ხინკალსა სჭამენ, განათლებულნი-კი—თევზეულს, ყველეულს, მოხრაკულებს და სხვ.; გლეხები არაყსა და ლუდსა სვამენ, განათლებულნი—სხვა-და-სხვა ხარისხის სასმელს, ღვინოს, არაყს, ლიკიორებს, მშრალსა და მაგარს, არა-მაგარსაც, მწარესაც, ტკბილსაც, თეთრსაც, წითელსაც, შამპანურს ღვინოსაც. გლეხების ქეიფი ერთის აბაზიდგან ერთ მანეთამდე ჯდება, განათლებულებისა—ექვს მანათიდგან ორ თუმნამდე კაცის თავზედ. გლეხები თავის ნათლი-დედას სიყვარულს უცხადებენ და საერო სიმღერებსა ჰგალობენ; განათლებულნი გაიძახიან, რომ ჩვენი alma mater-ი გვიყვარსო, და ღვინისაგან დაბმულის ენით უაზრო ლათინურს სიმღერებს ამბობენ. გლეხები ტალახში ეცემიან, განათლებულნი ხავერდის სკამ-ლოგინზედ. გლეხებს სახლში მიათრევენ ბარბაცით ცოლი და შვილები, განათლებულებს—ფხიზელი და ქვეშ-ქვეშ მოცინარე მოსამსახურენი.

არა, მართლაც-და ის საშინელებაა. საშინელებაა, რომ, თავისის აზრით, განათლების უმაღლესს ხარისხზედ მდგარნი სწავლა-განათლების დღესასწაულს მხოლოდ იმითი იხდიან, რომ რამდენისამე საათის განმავლობაში სჭამენ, სვამენ, თამბაქოს აბოლებენ და ათასს სისულელეს არახუნებენ; საშინელებაა, რომ მოხუცნი, ახალგაზდათა და ჭაბუკთა ხელმძღვანელნი, ალკოჰოლითა სწამლავენ ამათ, იმ საწამლავით, რომელიც, თუთიასავით, არასოდეს გაუვლის ადამიანს და რომლის კვალი მთელს სიცოცხლეს რჩება იმის ძვალსა და რბილში. ასობით ყმაწვილმა პირველად ამ განათლების დღესასწაულზედ დალია ღვინო, დაითრო და ამით საუკუნოდ წახდა და გაირყვნა, თავის მასწავლებელთა მიერ ღვინის სასმელად წაქეზებული. ყველაზედ საშინელი-კი ის არის, რომ ამის ჩამდენთ გონება ერთიან დაჰბნელებიათ და კარგი ავისაგან ვეღარ გაურჩევიათ, ზნეობა უზნეობისაგან. ამ კაცებს ისე დაურწმუნებიათ თავისი თავი, განათლებულნი და ნასწავლნი ვართ და განათლება და სწავლა-კი უფლებას გვაძლევს ყოველი ჩვენი ქინი ავისრულოთო, რომ თავის თვალში ძე-

*) უოველ წლის 12 იანვარს მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში სწავლა-დამთავრებულნი დიდის ამბით იხდიან, რადგან ამ დღეს არის ეს უნივერსიტეტი დაარსებული. ეს ფრიად საყურადღებო წერილი რუსეთის გამოჩენილის მწერალის ლევ. ტოლსტოისა დაწერილია შარშან, სულ ორის დღის წინად დღესასწაულამდე. ამ წერილმა, როგორც გაზეთებმა გვაუწყა, დიდი ალიაქოთი ასტეხა რუსეთში და დიდი ლაპარაკი გამოიწვია მწერლობაში.

ჰმეფობს და ბრძანებლობს ჩვენს ქალაქში. დღე, თთვე და წელიწადიც-კი ისე გადის, რომ ერთი ქართული წარმოდგენა, ან სალიტერატურო საღამო და ან სხვა რაიმე გასართობი და დროს გასატარებელი არა გაგვიჩნდა-რა. წარსულ წლის დამლევს შეუდგნენ ქართულის წარმოდგენების გამართვას, მაგრამ ესეც აღარ მოხერხდა. დღემდის კიდევ ბევრი სხვა რამაც გვიშლიდა ხელს წარმოდგენის გამართვისათვის და სხვათა-შორის ისიც, რომ წარმოდგენისათვის შესაფერი სადგომი და სცენის მოწყობილობა არ მოგვეპოვებოდა, მაგრამ დღეის შემდეგ-კი, მგონი, ამ ნაკლსაც ავიცილებთ. ამ დღეებში იჯარით გაიცა გასაკეთებლად ოზურგეთის საქალებო სასწავლებლის სახლი, ასე-რომ ამ სასწავლებლის სახლს ერთი მოზრდილი, თექვსმეტ-ადლიანი ოთახი უნდა მოუმატონ. ამ დარბაზში ადვილად გაიმართება წარმოდგენები ამავე სკოლის სასარგებლოდ. ამას გარდა, როგორც შევიტყეთ, სასცენო მოწყობილობის შეძენაც უნდათ. თუ ეს სურვილიც განვიხორციელეთ, მერე-კი სწორედ დიდი სირცხვილი იქნება, ოროოდე ქართული წარმოდგენა რომ არ მოვახერხოთ.

⁂ სოფ. წილკანი (დუშეთის მაზრა): ეს სამი წელიწადია, რაც ჩვენი სოფელი არ გამაძღარა, წლის საორო ზამთრის პირამდისაც არავის გაჰყვებოდა და დანარჩენი დრო წვადაგვით უნდა გაგვეტარებინა ხოლმე. მაგრამ წელს ღმერთმა ჩვენკენაც მოიხედა და ისეთი კარგი მოსავალი მოგვივიდა, რომ, იმედი გვაქვს, თითო კალოს ოც კოდზე ნაკლები არ გამოვიდეს. მაგრამ ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, ნათქვამია, და ჩვენც ისე მოგვივიდა სწორედ. მოსავლის იმედმა რაც სიხარული მოგვიტანა, ლამის მთლად ჩაგვაშხამოს ახალმა უბედურებამ: ჩვენი საკუთარი ნარეკვავის წყალი მოგვიწყვიტეს, აღარ გვანებებენ. ლამის უწყლობით დავიხოცნეთ. არავინ არის იმისთანა, რომ ამ გაჭირებაში გვიშველოს. თუ ყურადღება არ მოგვაქცია, ვისიც ჯერ არს, ჩვენი საქმე ცუდად არის და რაც მოსავლიანმა წელიწადმა მოგვცა, ის იმ ზარალსაც ვერ აუდგება, რომელიც უწყლობით მოგველის.

⁂ სურები (ოზურგეთის მაზრა): ჩვენს მივიწყებულსა და მივარდნილს კუთხეში სწავლის საქმე ხეირიანად მიდის. წინად ჩვენს საზოგადოებაში თითქმის არავინ იყო, რომ ხელის მოწერა შესძლებოდა, ეხლა-კი ბლომადა გვყავს შეგნებული და წერა-კითხვის მცოდნე კაცი. ამ სამის წლის წინად სოფელმა თავის ხარჯით ააშენა სკოლისთვის სამ-ოთახიანი შენობა, მოაწყო და მასწავლებელიც მოიწვია. დღემდის ჩვენი სკოლა დაუმტკიცებელი იყო და ამიტომ მაგრად ვერა ჰქონდა ფეხი მოკიდებული. ეხლა-კი დამტკიცდა, სამინისტრო სკოლად ჩაირიცხა და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექციამ მიიღო თავის მფარველობის ქვეშ. იმედი გვაქვს, რომ ამას იქით უფრო კარგად წავა ჩვენის სკოლის საქმე.

⁂ 2 ივლისს ღამით შემდეგი უბედურება დატრიალებულა სოფელ ჩხიკვეთში, ყოლასაც თოფი უსროლია და მოუკლავს, ყაზახის მაზრის სოფ. შიხილას მცხოვრებელი ტაშდემურ-მუსი-ოღლი, რომელიც მოჯამაგირედ ყოფილა ბ-ნ საგინაშვილთან. ტყვია გულში მოხვედრია და ზურგში გავარდნილა, მარცხენა ბეჭის ფრთას ქვემოდ. როცა თოფის ხმაზე ხალხი მოგროვილა, ტაშდემური ჯერ კიდევ ცოცხალი ყოფილა. გამოუკითხავთ და შეუტყვიათ, რომ თოფი უსროლია მეწევანის მცხოვრებელს, ალი-მაშა-უსეინ-ოღლის, რომელთანაც 10 დღის წინად ტაშდემურს ჩხუბი მოსვლია. ალი-უსეინ-ოღლისთან ჩხიკვთელი გლეხი ქიტესა ჯანუაშვილიცა ყოფილა, რომელიც უკვე შეუპყრიათ; მაგრამ თვით მკვლელს გაქცევა მოუსწრია თრიალეთის მთებში, სადაც ცხვარი უდგას თურმე („ახ. მიმოხ.")

⁂ გაზ. „Нов." ამბობს, რომ ტყიბულის მადნების ქვის ნახშირის წარმოებისა და ვაჭრობის გასაძლიერებლად აარსებენ სააქციონერო საზოგადოებას, რომელსაც ეწოდება: „სამთო-სამრეწველო საზოგადოება ტყიბულის ქვის ნახშირისაო".

⁂ ივლისის 5 პოლიციის მესამე ნაწილში ვიღასაც ძაღლმა დაჰკბინა ნახიჩევნის მაზრის მცხოვრებელი გლეხი არუთინ არაქელოვი. ძაღლი პოლიციელმა მოჰკლა. პირუტყვი გააშორევინეს და ცოფიანი აღმოჩნდა. დაკბენილი საბაქტერიოლოგიო სადგურში წაიყვანეს.

⁂ ოთხს ივლისს დამრჩვალის არჩილ სპირიდონის ძის გელაშვილის გვამი 5 ივლისს გამოაგდო წყალმა ობსერვატორიის მახლობლად და დიდიჯანის სათადარიგო ჯარის კაცმა გესინოვმა და სპასიდუხოვმა ამოათრიეს. დამრჩვალის გვამი საანატომიო თეატრში გაჰგზავნეს.

⁂ 5 ივლისს, ნაშუადღევის ოთხს საათზე, ხარკოვის გუბერნიის ქ. კუპენსკის მცხოვრებელი გლეხი სტეფან ობედნიაკოვი წაეჩხუბა თავის დედას ქვრივს ბარბარეს და უნდოდა ცულით მოეკლა, მაგრამ გლეხმა ვასილ ყარინმა მიუსწრო და ცული ხელიდგან გამოსტაცა, ობედნიაკოვი-კი შეიპყრო პოლიციელმა და პოლიციაში წაიყვანა. ეს საქმე გამომძიებელს გადაეცა.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

ტფილისის გუბერნიის და გორის მაზრის სოფელს არბოში წმიდის გიორგის ეკკლესიის აღშენების კომიტეტის თავს-მჯდომარე ეპისკოპოსი ალექსანდრე, ვიკარი საქართველოისა, უცხადებს გულითადს მადლობას და უძღვნის თავისს მღვდელ-მთავრულს ლოცვა-კურთხევას ყველა იმათ, რომელთაც შემოსწირეს ფული და გამოგზავნეს როგორც თავიანთ საკუთრებიდგან, აგრეთვე სხვებისაგანაც სიით, დასასრულებლად აღნიშნულის ეკკლესიისა. შემოსაწირავი მიღებულ არს; თავ. ლ. ი. მელიქოვისგან 20 მან., თავ. ირ. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან 50 მან., კავკასიის ოლქის სასწავლებლებისა მზრუნველის კ. პ. იანოვსკისაგან 12 მან., ქალბ. ევგ. ა. გამრეკელოვისაგან 27 მან., ელისავეტოპოლის გუბერნიის სახელმწიფო მამულების გამგე თავ. ვ. გ. გურამოვისაგან 85 მან., პოლკ. თავ. ნ. ე. თუმანოვისაგან 18 მან., დარგინის ოლქის უფროსისაგან 3 მან. და 21 კაპ., კასპიის ზღვის იქით მხრის ინტენდანტსტვოს გამგეობისაგან 9 მან. და 17 კაპ., არდაგანის ოლქის უფროსისაგან 5 მან., ბაქოს სობოროს მღვდლის ბ-ნ გაბარაევისაგან 28 მან. და 50 კაპ., ელისავეტოპოლის მაზრის უფროსისაგან როტმისტრის თ. ნ. გ. ჩაგადაევისაგან 57 კაპ., ქ. პეტროვსკის პოლიც-მეისტრისაგან 9 მან. და 80 კ., თეირნიდან არხიმანდრიტის ევსევისაგან 42 მან., კავკასიის ოლქის ინტენდანტსტვოს გამგებლობისაგან 2 მან. და 93 კაპ., სტ. ს. გამრეკელისაგან 10 მან., ჯავის ბლაღოჩინის ზ. ჯიოევისაგან 9 მან. და 80 კაპ., სტავროპოლის გუბერნატორისაგან 41 მ. და 72 კ., ბათუმის პურის მაღაზინის ზედამხედველისაგან 1 მან., ტფილისის პურის მაღაზინის ზედამხედველისაგან 4 მ. და 4 მკ., ავარსკის ოლქის უფროსის პოლკ. თ. ნ. ა. ვახვახოვის და კნეინა ვახვახოვისაგან 2 მ. და 91 კ., თავ. ივ. სულ. ჭავჭავაძისაგან 25 მ., გუნიბის ოლქის უფროსისაგან პოლკ. კ. კ. ჩილიაევისაგან 2 მ., კავკასიის აქეთა მხრის რკინის-გზის უროსისაგან სამს წერილთან გამოგზავნილის შემომწირველთა სიებით 107 მ. და 24 კაპ., თემირ-ხანშურის ოლქის უფროსისაგან 4 მ. და 90 კ., მიხ. მდივანისაგან 10 მ., პ. მ. ზოლოტინსკისაგან 26 მ., და ქ. ტფილისის ნატარიუსის და ი. ყიფიანისაგან 12 მ. და 65 კ., სულ 507 მ. 44 კ. ეს ფული დაურიგდათ ბედ კანკელის გამკეთებელსა, ხატების დამხატავსა და ეკკლესიის შიგნით კედლების და თაღების გაჯით შესალესავად. კომიტეტს იმედი აქვს, რომ სხვა ქველ-მოქმედნიც და ღვთის ტაძართა კეთილ-მდგმოიარებისათვის მზრუნველნი არ დაზოგვენ უკანასკნელსა შემოწირულებასა თვისსა და მით მოგვცემენ შემწეობასა დასასრულებლად იმ დიდებულის არბოს ტაძრისა, რომელიც ორმოც წელიწადზედ მეტია რაც შენდება. ფული საჭიროა კიდევ კანკელსა და ხატებში, შესრულების შემდეგ, პირობისამებრ მისაცემი, გაჯით გასალესი ტაძრისა, მიცემულს ბეს გარდა, საყდრისათვის შესაფერის ტაძრის სიდიდის ზარისა, ჭაღისა, ახალის შესამოსისა და სხვა სამკაულისათვის. თუ რომ შემოსაწირავი საკმაოდ შემოკრბება და ღვთით და კეთილთა კაცთა შემწეობით ისე ყოველივე მოესწარით, ვფიქრობთ ეკკლესიის კურთხევასა მომავალს აგვისტოს თთვეში აწ მდგომის წლისა ტაძრის დღეობას—გერისთობას, რომელზედაც, თუ რომ დავამზადებთ იმ დროისათვის, ადგილობრივს გაზეთებში თავის დროზედ საკუთრივ გამოვაცხადებთ.

თავმ-მჯდომარე კომიტეტისა:
ეპისკოპოსი ალექსანდრე

### II

არბოს ეკკლესიის აღშენების კომიტეტის თავმჯდომარე ეპისკოპოსი

---

ლიც-კი ველარ დაუნახავთ. ეს ვაჭბატონები უმსგავს ლოთობას ეძლევიან და ამ ლოთობის დროსაც თავი მოსწონთ, გულის ტკივილით იხსენიებენ გაუნათლებელთ.

ყოველი დედა იტანჯება, ნასვამის შვილის ნახვით-კი არა, მარტო იმის ფიქრითაც, რომ შეიძლება დამეთვროს, დალიოსო; ყოველი უფროსი თავისს ქარგალს ჰკიცხავს სიმთვრალისათვის; ყოველს გაურყვნელს ადამიანს თითონვე სცხვენიან თავისის სიმთვრალისა, ყველამ იცის, რომ დათრობა ცუდია. მაგრამ აგერ განათლებულნი ნასწავლნი ლოთობენ, და სრულიად დარწმუნებულნი არიან, რომ ცუდს არაფერს ჩადიოდართო, და დიდის სიამოვნებითა და სიცილით გადასცემენ და მოუთხრობენ ერთმანეთს თავისის დათრობის ამბავს. საქმე იქამდეა მისული რომ უმსგავსი, საძაგელი ღრეობა, რომლის დროსაც მოხუცნი ახალგაზდებს ღვინოს აძალებენ და გადაჭარბებულად ასმევენ, ყოველ წლივ იმართება განათლების პატივსაცემლად და აღარავის-კი აღარ ეხამუშება, აღარავის შეურაცხ-ჰყოფს, ყველა მათგანი სიმთვრალის დროსაც და შემდეგაც ჰხარობს და სიამოვნებს თავისის მაღალის აზრებით, თამამად ჰსჯის და აფასებს სხვათა ზნეობას და განსაკუთრებით-კი უვიცს, გაუნათლებელს ხალხს ასამართლებს.

ყოველს გლეხს, თუ მთვრალია, ბრალეულად, დამნაშავედ მიაჩნია თავისი თავი და თავს იბოდიშებს ასეთის საქციელისათვის. იმას დროებით გადაუხვევია კეთილის გზისათვის, მაგრამ კარგისა და ავის გამრჩევი გრძნობა მაინც სრულიად არა აქვს დახშული. ჩვენს საზოგადოებაში ეს გრძნობაც ცოტ-ცოტად ფუქსავატდება.

კარგი, ვსთქვათ, მიეჩვიეთ და ვეღარ გიშტყუნიათ ამ ჩვეულებისათვის. რა გაეწყობა, აგრევე განაგრძეთ, თუ მაინც და მაინც თავი ვეღარ შეგიმაგრებიათ. მაგრამ იცოდეთ-კი და ნუ დაივიწყებთ, რომ ეგეთი საქციელი ყოველთვის სამარცხვინო და საკიცხებელია, 12 იანვარსაც, 15-საც, 17-საც, თებერვალშიაც და ყოველ თთვესაც. იცოდეთ ეს და ნუ დასტოვებთ თქვენს მანკიერს, ნადირის შესაფერს საქციელს, მხოლოდ ჩუმად-კი ილოთეთ, მალულად, და არა ისეთის დიდის ამბითა და დღესასწაულით, როგორც თქვენ სჩადიხართ; გზას ნუ უბნევთ და ზნეობით ნუ ადუხჭირებთ ჭაბუკებს, თქვენ მიერვე თქვენთა უმცროს ძმებად წოდებულთ. დავთარს ნუ ურევთ და გონებას ნუ უხშობთ იმის სწავლებით, რომ ქვეყნად არის კიდევ რაღაც სხვა სამოქალაქო ზნეობიანობა, რომლისათვისაც საჭირო არ არის თავის დაჭერა, და სხვა გვარი უზნეობაც არის, რომელიც თავის აშვებას არ მოასწავებსო. ყველამ იცის და თქვენც იცით, რომ ყოვლის უწინარეს ბიწისა და მანკისაგან თავის დაჭერაა საჭირო, რომ ყოველივე თავაშვება სათაკილოა, საკიცხავი, განსაკუთრებით-კი სამარცხვინოა უზომოდ, თავ-დაუჭერლად ღვინის სმა, რადგან ეს საქციელი ადამიანს სინიდისს უკლავს და უხშობს, ყველამ იცის ესა, და ამიტომაც, უზენაეს გრძნობისა და საგნის შესახებ ლაპარაკის მაგიერ, იხევ ისა სჯობია, რომ სიმთვრალის ჭირისაგან განიკურნოთ თავი, გამოჰფხიზლდეთ და მერე ისე დაიწყოთ სჯა-ლაპარაკი. მაშ ეგრე, ნურც თქვენს თავს ატყუებთ და ნურც სხვისას, განსაკუთრებით-კი ნუ ატყუებთ და ნუ აცდუნებთ ჭაბუკთა და ახალგაზდათ. ისინი ჰგრძნობენ, რომ თქვენს ნადირ-კაცთა შესაფერს ჩვეულებაში მონაწილეობის მიღებით კარგს არასა სჩადიან და რაღაცა კეთილსა და კვლავ დაუბრუნებელსა ჰკარგავენ.

თქვენც კარგად იცით, იცით, რომ სხეულისა და სულის სისპეტაკეზედ არა არის რა კარგი და კეთილი, და ისიც ხომ ლოთობით იბღალება და იმწიკვლება. კარგად იცით, რომ მთელი თქვენი მჭევრ-მეტყველება და მაგარ-მაგარი, ლამაზ-ლამაზი სიტყვები Alma mater შესახებ თქვენც-კი, შექეიფიანებულთ, შეზარხოშებულთ, გულს ვერ გილბობთ, და რომ იმ უბრყვილოებისა და სისპეტაკის ნაცვლად ვეღარას შესძენთ იმ ჭაბუკთ, რომელნიც ამ კეთილს თვისებასა ჰკარგავენ თქვენს უმსგავს ღრეობაში მონაწილეობის მიღებით. მაშ ნუ ჰრყვნით, გონებას ნუ უხშობთ და იცოდეთ, რომ როგორც ნოეს, როგორც ყოველს გლეხ-კაცს, ისე ყველას უნდა სცხვენოდეს და უნდა ეთაკილებოდეს არამც თუ ისეთის დათრობისა, როცა ჰყვირის, სტოლზედ შესდგება ხოლმე და ათასს სისულელესა სჩადის, არამედ იმისაც-კი, რომ, განათლების დღის სადღესასწაულოდ, გემრიელად შეექცევა და ალკოჰოლით იბნელებს გონებას. ნუ ჰრყვნით ჭაბუკთ, ნუ ჰრყვნით თქვენის მაგალითით იმ მოსამსახურეთ, რომელნიც გარს გახვევიან. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის ასი და ათასი კაცი, რომელიც თქვენ გემსახურებათ, ღვინოსა და საჭმელს მოგართმევთ ხოლმე და სახლში მიჰყვებართ, ისინიც ადამიანები არიან, ცოცხალნი, სულდგმულნი და იმათთვისაც, როგორც ჩვენთვის, დიდი საკითხავია, რა არის კარგი, კეთილი, და რა ბოროტი და ავი. ვის მაგალითს მიჰბაძონ? კიდევ კარგი, რომ იმ მოსამსახურეთ, მეეტლეთა და გლეხთ იმად არ მიაჩნიხართ, რადაც თქვენ მიგაჩნიათ თქვენივე თავი და რადაცა გსურთ, რომ სხვასაც მიაჩნდეთ,—განათლების წარმომადგენლებად. ასე რომ არ იყოს, თქვენი მნახველნი ხომ სულ ერთიან შეიძულებდნენ და შეიძაგებდნენ განათლებას. ეხლაც-კი, თუმცა განათლების წარმომადგენლად არ მიაჩნიხართ, მაინც განათლებულადა და მიბაძვის ღირსად ჰგონიხართ. მერე-და რა უნდა ისწავლონ თქვენგან იმ უბედურებამ? რატომ ერთხელ მაინც არა ჰკითხავთ ამას თქვენს თავს?

რა უფრო ძლიერია, ის განათლება, რომელსაც ხალხში საჯარო ლექციების კითხვითა და მუზეუმებით ავრცელებთ, თუ ის სინადირე, რომელიც თავისდა თავად ფეხს იდგამს იმისთანა დღესასწაულის ნახვით, როგორიც არის მთელის რუსეთის უგანათლებულესს კაცთა მიერ გარდახდილი დღესასწაული 12 იანვარს. ჩემის აზრით, ლექციაცა და მუზეუმიც სულ-ერთიანად რომ მოისპოს და აგრეთვე გაუქმდეს ეგ თქვენი დღესასწაულ-სადილები და მზარეული დედაკაცები, მოსამსახურენი და მეეტლენი ერთმანეთს რომ გადასცემდნენ ხოლმე, აი განათლებულნი დღესასწაულს ლოთობითა და დანაყრობებით-კი არ იხდიან, არამედ უღვინოდ მასლაათობენ და ჰსიამოვნებენ ხოლმეო, განათლებას თუ არა მიემატებოდა-რა, არა დააკლდებოდა-რა. დროა შევიგნოთ და შევისმინოთ, რომ განათლება არა მარტო ცოცხალისა და სხვა სურათებით, არა მარტო პირადისა და ნაბეჭდის სიტყვითა ვრცელდება, არამედ ცხოვრების გადამდებ მაგალითით. დროა გავიგოთ, რომ ის განათლება, რომელსაც მკვიდრად გასავრცელებელ დედა-ბოძად და საძირკვლად ზნეობიანობა არა აქვს, განათლება-კი არა, დაბნელება და გარყვნილება.

[illegible]

ალექსანდრე აცხადებს, რომელ კიდევ მიღებულ არის შემოსაწირავი სასარგებლოდ აღნიშნულის ეკკლესიისა: დეკ. მ. მძინაროვისაგან 10 მან., დარია სოლ. ასულის გაბაევისაგან 44 მან., ელენე ლევ. ასულის გურგენიძისაგან 100 მან., მ. ი. ლოლაძისაგან 10 მან., ართვინის ოლქის უფროსის თავ. ერისთავისაგან 25 მან., დ. ს. ბაქრაძისაგან 13 მან. 65 კაპ., კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზის უფროსის კანცელარიისაგან 5 მან. 40 კაპ., არხიმანდრიტის იეროჱისაგან 19 მან., ახალციხის პურის მაღაზიის უფროსისაგან 3 მან. 85 კაპ., მოზდოკის პოლიცმეისტრისაგან 24 მან. 40 კაპ., ბლაღოჩინის მ. ხელაევისაგან 11 მან. 25 კაპ., კნ. ნინო ფაილენოვისაგან 11 მან., მღ. იოსებ ლიაძისაგან 26 მან. 46 კაპ., ალექ. ლუარს. ძის ხუციევისაგან 25 მან. სულ 329 მან. და 1 კ., ხოლო წინად შემოსულით 899 მ. და 45 კაპ.

თავმჯდომარე კომიტეტისა,
ეპისკოპოსი ალექსანდრე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ციმბირის გაზეთებში არა ერთხელ ყოფილა დაბეჭდილი სამდურავი იქაურის ქალაქის საბჭოსი. ეს გაზეთები ყოველთვის იმ აზრისანი იყვნენ, რომ წესი არჩევანებისა ვერ არის კარგიო რუსეთში და ამიტომ თვით-მმართველობის საქმეც ჰკოჭლობს, დაქვეითებულიაო. როგორც მოგეხსენებათ, ამ ჟამად მთელს რუსეთში საზოგადოდ და კავკასიასა და ციმბირშიაც არჩევანში მონაწილეობის მიღება მხოლოდ იმას შეუძლიან, ვისაც ქონებრივი ცენზი და ან რომელისამე ხელობის უფლება აქვს. ტომსკისა და ირკუტსკის თვით-მმართველობის უვარგისობის გამოისობით გაზ. „Восточное Обозрѣніе" ეხლა კვლავ შეეხება ამ საგანსა.

ქონებრივს ცენზზედ დაფუძნებულმა უფლებამ არჩევანებზედ მონაწილეობის მიღებისამ არსად ისე მავნედ არ იმოქმედა, როგორც ციმბირშიო, ამბობს გაზეთი: რადგან ვაჭრობა, მრეწველობა ამ ქვეყანაში ძალიან განვითარებულია და იმათ აქვს ხელში ჩაგდებული მთელი ციმბირის ავლა-დიდება და ავან-ჩავანი. მაგალითებრ, ტომსკის საბჭოს 72 ხმოსანს შორის 36 კაცი ვაჭარია, ესე იგი 50%, 10 მოქალაქე და 14 სხვა წოდებისა, რომელთაგანაც თითქმის ყველანი ვაჭრობას მისდევენ. ერთის სიტყვით, ხმოსანთა 84% ვაჭრებს შეადგენს. ეს 72 ხმოსანი განათლების მხრით ასე შეიძლება გავანაწილოთ: 5 უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, 6 საშუალო-გიმნაზია დაუსრულებია, 8 პირველ დაწყებითი სწავლა მიუღია, 50 შინ უსწავლია და 5 სულ უსწავლელ-უცოდინარია. მაშასადამე, ინტელიგენცია სულ 15% არ შეადგენს, დანარჩენი 85% ან მხოლოდ წერა-კითხვის მცოდნენი არიან და ან ესეც არ იციან.

გაზეთი ამბობს, რომ ასეთის მდგომარეობის ასაცილებლად კარგი იქმნება არჩევანში მონაწილეობის მიღების უფლება იმათაც მიეცეთ, რომელთაც უძრავი ქონება არა აქვთ-რა, მაგრამ მუდმივად-კი სცხოვრობენ ქალაქშიო. მართლაც-და, გაზეთისა არ იყოს, რამდენი განათლებული და დიდის სწავლა-ცოდნით აღჭურვილი კაცია, რომელსაც უძრავი ქონება არა აქვს, ის რად უნდა იყოს გამოკლებული თვით-მმართველობის საქმეში და რატომ იმას-კი არ უნდა მიეცეს შეძლება იმ ქალაქის მოვლა-პატრონობას, რომელშიაც სცხოვრობს, თავისი ცოდნა და სწავლაც მოახმაროს და ამით სარგებლობა მოუტანოს!?

**

ყოველს ვექილს, მგონი, მარტო ის მიაჩნია თავის საქმედ, რომ ბევრი ილაპარაკოს, ბევრი ილაქლაქოს უალაგოდ და ალაგიანად, ათასი რამ სთქვას და საქმე-კი იოტის ოდნავაც არ წასწიოს წინ. კარგი იქნება, რომ ამისთანა ტფილისელმა ვექილებმა თავისს კოლეგს თანამოძმეს, ბ-ნს კუპერნიკს, მიჰბაძონ და განახორციელონ რუსთაველის ის ბრძნული ნათქვამი, რომ „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგიო." კიევის აქ დასახელებული ვექილი ხომ სწორედ ამ სიბრძნეს მისდევს თურმე. ერთის აქაურის გაზეთის სიტყვით,

ამას წინად კიევში პოლიციას საჩივარი შეუტანია ერთს მეტრაქტირე ქალზედ, რომ დაწესებულ ვადის შემდეგაც ჰვაჭრობსო. თერთმეტს საათზედ უნდა დაჰკეტოს თავისი ტრაქტირი, მაგრამ ამას წინად-კი თორმეტის ოცი წუთი იყო, როცა თავისი სამიკიტნოს დარაბები მოჰხურაო. ამ ქალს თავის ვექილად ბ-ნი კუპერნიკი ჰყავდა. როცა ბრალმდებელმა თავისი გრძელი და ჭეხა-ქუხილით სავსე სიტყვა წარმოსთქვა და ახლა ვექილზედ მიდგა ჯერი, კუპერნიკმა არა სთქვა-რა, მხოლოდ მიჰმართა თურმე სასამართლოს თავმჯდომარეს და ჰკითხა:

— რომელი საათია, ბ-ნო თავმჯდომარევ?

— თორმეტს ხუთი წუთი უკლია.

— თქვენს საათში რომელი-ღაა, ბ-ნო ბრალმდებელო?

— თორმეტიდგან თხუთმეტი წუთია გადაცილებული.

— ჩემსას-კი, ბატონებო, თორმეტს თხუთმეტი წუთი აკლიაო, შენიშნა ვექილმა და დასამტკიცებლად საათიც აჩვენა... ეს იყო და ეს.

სასამართლომ დამნაშავე გაამართლა.

## ახალი გამოგონილი სხვა-და-სხვა მანქანა.

როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ მხოლოდ ნადირის ხორცითა და გარეულის ხილეულობით იკვებებოდა, მისი გონება იმას როგორ მისწვდებოდა, რომ მიწის ხვნა-თესვა შეიძლებაო, მაგრამ ხანგრძლივმა გამოცდილებამ დაანახვა, რომ მიწის მდიდარს ნიადაგს ყოველ გვარი ჩემთვის საჭირო და სასარგებლო მცენარე შეუძლიან აღმოაცენოსო და, ოღონდ-კი ცოტა გავისარჯოო, ჩემს შრომას უხვად დააჯილდოვებსო. მანამდის-კი, სანამ ბარი და ნიჩაბი ვერ გამოიგონა, მიწის ნაყოფის მომცემს ძალას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა, ჰკვენთავდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. მაგრამ ადამიანი არასოდეს არ შეჩერებულა, არ დამცხრალა და ბუნების ერთს თვისებასა, ერთს ძალას რომ აღმოაჩენდა და რაშიმე გამოიყენებდა, ახლა კიდევ იმას სცდილობდა, იქნება სხვა საიდუმლო, დაფარული ძალაც აღმოვაჩინო და ისიც ჩემ სასარგებლოდ მოვიხმაროო. ჰხედავდა ადამიანი, რომ მდინარე სწრაფად და ძლიერად მირბის, და იფიქრა, მოდი, დასაფქვავ ქვას, ხელით რომ ვატრიალებ, ბორბლებს გავუკეთებ და ამ მდინარეს გაპრუნებინებო, და გამოიგონა წისქვილი. უწინ მდინარის ძალა ტყუილა-უბრალოდ იკარგებოდა, ახლა-კი ადამიანმა ცოტაოდნად მაინც თავისთვის გამოიყენა და თავისი გასაკეთებელი იმას გააკეთებინა.

ყოველს გამოგონებას რომ კვალ-და-კვალ ჩავუდგეთ, ყოველთვის ერთსა და იმავე მოვლენას შევნიშნავთ: ადამიანი მუდამ იმის ძებნაშია, რომ ბუნების უქმად დამარხული ძალა მკვდრეთით აღავდგინოს, გამოაფხიზლოს და გამუშაოს. მაგრამ უწინდელს დროში ამ გვარს გამოგონებას უფრო შემთხვევით თუ წააწყდებოდნენ ხოლმე, რადგანაც მეცნიერება თვით საბერძნეთშიაც ახლად იბადებოდა. დღეს კი, როდესაც მეცნიერება ძალიან განვითარდა, წელიწადი და ხშირად თთვეც-კი ისე არ გავა, რომ რაიმე სასწაულისებური მანქანა არ აღმოაჩინონ და არ გამოიგონონ. ეს ჩვენი საუკუნე სწორედ სასწაულთ-მომქმედ საუკუნედ შეიძლება იწოდებოდეს.

ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია ის აზრი, რომ ერთი ძალა მეორეს აჩენს, ანუ მეორედ გარდაიცვლება ხოლმე. სხვა-და-სხვა სასწაულისებური გამოგონება მეცხრამეტე საუკუნისა ამ აზრზედ არის დამყარებული. მაგალითებრ, ორთქლის ძალას რკინის გზის მატარებელი და ხომალდები ატარებინეს, ელექტრონის თვისების გამო ერთის სადგურიდგან მეორემდის ათასისა და ათიათასის ვერსის მანძილზე მიწერ-მოწერა გამართეს და სხ. ამ წერილში ერთ ამ გვარ მოგონების შესახებ გვსურს ვილაპარაკოთ.

ამერიკის ერთს ქალაქში ვიღაც ხუროთ-მოძღვარს ქუჩების მოსარწყავად, ცეცხლწაკიდებულ სახლების გასაქრობლად და სხ., მღელვარე ზღვის ზვირთების ძალა მოუხმარია. იმის გამოგონილ მანქანას სულ უბრალო მოწყობილობა აქვს, მაგრამ, ვიდრე პირდაპირ იმას შევეხებოდეთ, მკითხველს ერთი უბრალო მოვლენა უნდა გავახსენოთ. თუ წყალში ყალიონის ღერის ერთი ბოლო ჩაჰყავით და მეორე ბოლოდგან ჰაერი შეისრუთქეთ, წყალი მილში ავა და პირში ჩაგესხმებათ. რად ადის მილში წყალი? იმიტომ, რომ როდესაც ყალიონი მოსწიეთ, მილი ჰაერისაგან დაიცალა, დაცარიელდა და ეს ცარიელი ადგილი ახლა წყალმა დაიკავა. იმ ხუროთ-მოძღვარის მანქანაც სწორედ ამ გვარადვე მოწყობილი. ასე, ათის საჟენის მანძილზე, ზღვაში ყოველ ორს დასობილ ბოძზე ღერძია გადებული და ღერძში, შუა-ალაგას, ხის გრძელი, დიდი და სქელი ფიცარია გაყრილი. ამ ფიცრის რამდენიმე ნაწილი წყალში მდგას და რამდენიმეც ზევით არის აღერებული. როდესაც ზღვა ჰღელავს, წყალში ჩადებულ ნაწილს აქეთ-იქით აქანავებს და ამიტომ რასაკვირველია, ღერძს ზევით მყოფი ნაწილიც ქანაობს. ზღვის პირზე წყლის ამოსაზიდი ფართო მილი ამ გვარად არის მოწყობილი. ფართო, რგვალ მილში რგვალი ხის ანუ ლითონის ფიცარი ისე მჭიდროდ მდგას, რომ მილის კედლებსა და ამ ფიცარს შუა წყალი თითქმის რომ არ გადის. ფიცარი შუა ალაგას ამოხვრეტილია და ეს ალაგი ზევიდგან სახურავით მჭიდროდ იხურება. გრძელის ღერის საშუალებით ეს ფიცარი ხან ზევით ამოიწევა და ხან ქვევით ჩაიწევა. ზემო აღწერილ ღერძის ზედა ფიცარი ამ ღერძთან იმ გვარად არის შეკავშირებული, რომ, ფიცრის ქანაობის დროს, წყლის-ამოსაზიდ მილის ფიცარი ხან ზევით ამოდის, ხან დაბლა ჩადის. როდესაც ამოიწევს, ფიცარს ზევით-მყოფი ჰაერი სახურავს დააწვება და ამოხვრეტილს ალაგს დაჰხურავს, ამიტომ წყალსა და ფიცარს შუა ჰაერი ვეღარსაიდგან ვეღარ ჩავა და, ამ ცარიელის ადგილის დასაკავებლად, როგორც-კი ფიცარი ზევით-ზევით წავა, წყალიც თან გაჰყვება. როდესაც ფიცარი ძირს ჩაიწევს, წყალს რა-კი დააწვება, სახურავი მაშინვე აიხდება და წყალი აღარ დაიწევს, გაჩერებული იქნება. შემდეგ, როდესაც ფიცარი ისევ მაღლა აიწევს, წყალსაც თან ამოჰზიდავს ხოლმე. ამ მანქანით წყალი ექვსის საჟენის სიმაღლეზე აჰყავთ თურმე და ზღვის მშვიდად ყოფნის დროსაც-კი, როდესაც ვერც-კი შეამჩნევთ, ღელავს არის თუ არაო, იმდენი წყალი იკრიბება, რომ სრულიად საკმაოა ქუჩების ყოველ დღე სარწყავად და, თუ საჭირო იქნება, ცეცხლის საქრობადაც.

გარდა ამისა ამ მანქანით ჰაერის შეკუმშვაც ადვილად მოსახერხებელია. ვეცდები მოკლედ აგწეროთ ჰაერის შესამკუმშველი მანქანაც. წარმოიდგინეთ ბურთივით რგვალი ჭურჭელი, რომელსაც ორგან, წინა და უკან, თითო მილი აქვს დატანებული. წინა მილი შიგნიდგან რგვალის ფიცრით იხურება მჭიდროდ. გარდა ამისა გვერდებზე იმყოფება მრავალი ამოხვრეტილი ალაგი, რომელიც შიგნიდგან იხურება თავ-სახურავით. უკანა მილსკი კრანტი აქვს გაკეთებული. თუ შეკუმშული ჰაერი გნებავთ ჭურჭლიდგან გამოადინოთ, ეს კრანტი უნდა მოუშვათ, თუ არა და, მოუჭიროთ. წინა მილში ღერიანი რგვალი ფიცარი შედის და გამოდის. წარმოიდგინეთ, რომ ზემოდაღწერილ ზღვის მანქანის მოქანავე ფიცარი შეერთებულია ამ ღერთან და, ქანაობის დროს, წინა მილის ფიცარს ხან გამოსწევს და ხან შესწევს ხოლმე. აი სწორედ ამ გვარად არის მოწყობილი საზოგადოდ ჰაერის შესაკუმშავი ყოველი მანქანა. მაგრამ როგორ იკუმშება მაინც ჰაერი? აი როგორ: როდესაც წინა მილიდგან ღერიანი ფიცარი ჰაერის შესამკუმშავ ჭურჭლისკენ წაიწევს, მილის შეკუმშული ჰაერი გვერდებზე მყოფ თავ-სახურავებს დააწვება და დახურავს შიგნიდგან და ამავე დროს მილის მეორე ბოლოს მყოფ თავ-სახურავსაც ახდის. მაშასადამე, რაც მილში ჰაერი იყო, ფიცარი სულ ერთიან წაიღებს და ჭურჭლის ჰაერს მიუმატებს, ანუ შეურევს. ჭურჭელში ახლა მეტი ჰაერი იქნება, ვიდრე წინად იყო, თუმცა ამ მეტს ჰაერს იმდენივე ალაგი ექმნება დაჭერილი, რამდენიც წინად ნაკლებსა ჰქონდა. ამიტომ ჰაერის ერთი ნაწილი მეორე ნაწილს უფრო აწვება. ჰაერი უფრო შევიწროებულია, უფრო შეკუმშული. როდესაც ღერიანი ფიცარი უკან დაიწევს, მაშინ მილში ცარიელი, უჰაერო ალაგი დარჩება, ამიტომ ჭურჭლის შეკუმშული ჰაერი გამოექანება ამ ცარიელის ალაგის დასაჭერად, მაგრამ თავ-სახურავი დაუხვდება წინ, იმას დააწვება, მილს დაჰხურავს და ისევ ჭურჭელში დარჩება მომწყვდეული, ვეღარსად ვეღარ წავა. მაგრამ მაგიერად, მილის ყოველ კუთხით, გარედგან ჰაერი ამოხვრეტილ ალაგებისკენ გაექანება, იმათს თავ-სახურავებს ახდის და მილში შეიკრიბება. ახლა ღერიანი ფიცარი კიდევ წინ წაიწევს, კიდევ დაჰხურავს გვერდების თავ-სახურავებს, ახდის მილის უკანასკნელს თავ-სახურავსაც და, რაც მილში ჰაერი იქნება, ჭურჭელში შეჰკრებს. თუ ღერიანმა ფიცარმა დიდხანს იმოქმედა ასე, მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ჭურჭელში დიდ-ძალი შეკუმშული ჰაერი მოიყრის თავს.

ევროპის სხვა-და-სხვა ქალაქში შეკუმშულ ჰაერს ახლაც ბევრ გვარად ჰხმარობენ, მაგრამ რადგანაც ყოველ ხელოსანს ამისთანა მანქანის გაკეთება, სიძვირის გამო, არ შეუძლიან, ამიტომ ჰაერის შესაკუმშავი მანქანა რომელსამე ამხანაგობასა აქვს გამართული. ჰაერი იკუმშება ერთს დიდს ჭურჭელში, რომლიდგანაც ვიწრო მილებით სახელოსნოებშია გაჰყვანილი. ამ გვარად უბრალო ხელოსანი შეკუმშულ ჰაერს სულ იაფ ფასად ჰყიდულობს და იმის საშუალებით თითონ თითქმის სულაც არ სჭირდება შრომა, ისე აკეთებს ათას გვარს ნივთსა და იარაღს.

იმის აღწერას არ გამოვუდგებით, ეს უკანასკნელი, უკვე სახელოსნოში მყოფი ნაწილი ჰაერის მანქანისა რა გვარად არის მოწყობილი და თავის-თავად როგორ შეუძლიან სხვა-და-სხვა ნივთის გაკეთება. ეს შემდეგისთვის იყოს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ მხრივაც საქმე მარტივად არის მომართული.

როგორც ზღვის ღელვა გამოიყენეს, იმ გვარადვე შეიძლება გამოიყენება და კიდევაც იყენებენ წყალვარდნილის, თვით მდინარისა, ქარისა და ბუნების სხვა-და-სხვა ძალას. მაშასადამე, კაცობრიობა უკვე იქამდის მივიდა, რომ ბუნებაში თითქმის ყოველისფრით სარგებლობს და ყველაფერს იმსახურებს: მზესაც, მიწასაც, ჰაერსაც, წყალსაც და სხვა-და-სხვ.

ვ. წ.

## რუსეთი

სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ახალი სესხი ითხოვა მიწის მეურნეობის და სასოფლო მრეწველობის დეპარტამენტისათვის. ეს ფული უნდა მოახმარდეს სასოფლო პირველ-დაწყებითს სამეურნეო სასწავლებლებს.

— უმაღლესის ბრძანებით ოდესის უნივერსიტეტს მიეცა ოთხი ათასი თუმანი. ეს ფული გადადებულია საანდამანტო სადგურის დასაარსებლად.

— გადაწყვეტილია, მოისპოს კარანტინი ოდესასა და კერჩში. ამ გადაწყვეტილებას მხოლოდ სახელმწიფო საბჭოსგან-ღა აკლია დამტკიცება. კარანტინი მარტო სტამბოლში-ღა იქნება. იქვე შესდგება საერთაშორისო კომისია, რომელმაც თვალყური უნდა ადევნოს ამ კარანტინს. იმიტომ ისპობა კარანტინი ოდესასა და ქერჩში, რომ უფრო ადვილად და დაუბრკოლებლად შეეძლოთ მიმოსვლა უცხო სახელმწიფოთა სავაჭრო გემებს.

— რადგანაც მდინარე დონის კალაპოტი ოღრო-ჩოღრო და ღორღიანია, ამიტომ გზათა სამინისტროს 200 ათასი მანათი გადაუდვია იმის გასაწმენდად, რომ ნაოსნობა მოხერხდეს. ინჟინერები უკვე მუშაობას შესდგომიან.

— კუნძულ სახალინზე ჰმართავენ სკოლებს, რომელშიაც პატიმართა შვილებმა უნდა ისწავლონ. ამ სკოლებს 1891 წ. დაწყებული ყოველწლივ ოთხას-ოთხასი თუმანი მიეცემა ხაზინიდგან, შემდეგ სამრევლო სკოლებად გადაკეთდება და ეს ფულიც მოესპობათ.

— რუსეთის სატყენიკო საზოგა-

დოებას ცალკე კომისია ჰყავს დანიშნული, რომელსაც მინდობილი აქვს ციმბირში რკინის გზის გაყვანის საქმე. ეს კომისია ამ შემოდგომაზე დაამთავრებს ამ საქმეს და თავის მოხსენებას უმაღლესს მთავრობას წარუდგენს დასამტკიცებლად. კომისიას საჭიროდ უცვნია, გზის გაკეთების ხელის შესაწყობად, დაარსდეს საცემენტო ქარხნები ურალისა და ციმბირის მთებში. რკინის გზაზე და ქარხნებში სამუშაოდ შეიძლება ციმბირში გაგზავნილი დამნაშავეებიც მოიხმარონო.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამას-წინად ცალკე კომისია დანიშნა სხვა-და-სხვა უწყებათა წარმომადგენლებისა. ამ კომისიამ ახალი კანონ-მდებლობა შეიმუშავა ნავთის წარმოებისა. ამბობენ, რომ ძველი კანონმდებლობა, რომელიც 1872 წელს დამტკიცდა, გაუქმდება, რადგან ამ ზამთარს სახელმწიფო საბჭო უეჭველად დაამტკიცებს ამ ახალს კანონ-მდებლობასაო.

— ესტლანდიის სალიტერატურო საზოგადოებაში წელიწადში ერთხელ დანიშნულს დროს იკრიბებიან ახალგაზდანი და ერთმანეთს ეჯიბრებიან კითხვასა, გალობასა და მწერლობაში. უკეთესს ავტორებს, მკითხველებს, მგალობლებს ჯილდო ეძლევათ წასაქეზებლად. ყოველთვის მრავალი ხალხი დაესწრება ხოლმე ამ ფრიად სასარგებლო და სასიამოვნო დღეობას. წრეულს ეს დღესასწაული დანიშნულია ამ თვეის 22-23.

# დეპეშა

6 ივლისი

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა უაგვისტოესის შვილებითურთ გუშინ პეტერგოფში დაბრუნდნენ.

გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული აზრი სამხედრო საბჭოსი, რომ კავკასიის სამხედრო ოლქის ადგილობრივ ჯარებიდგან განსაკუთრებული მსროლელთა და ზურგის ბრიგადები შესდგესო.

ლონდონი. ხმა დადის, რომ რამდენმამე აქაურმა ფულის პატრონმა, ციმბირში ბრიტანიის ვაჭრობის განსავითარებლად, ერთი ხომალდი შეიძინა და ეხლა ეს ხომალდი მზადდება, რომ ენისეიზედ დაიწყოს ცურვა. პირველად ხომალდი ნორვეგიულის ბაირაღით იქნება და იმ მიმართულებით ივლის, რა მიმართულებასაც კაპიტანი ვიგვინტი ადგა.

მცირე აზიიდგან ამბავი მოვიდა, რომ ხოლერა მესოპოტამიაში ვანქის ტბამდე გავრცელდა და ახლა დიარბიკირისკენ გადადისო.

პეტერბურგის ბირჟა, 3 ივლისი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | — „ | „ | 6 89 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 137³/₄ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 12 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . | 226¹/₂ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 216¹/₂ | — „ | — „ |
| —მესამისა . . . . | 212³/₄ | — „ | 211¹/₂ |
| გირავნობის ფურცელნი ტ ილისის ბანკისა . | — „ | — „ | 100 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 99³/₄ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 89 „ | — „ | — „ |

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 16 ივლისამდე

თეთრი პური რუსული 1 გირ. 4¹/₂ კაპ.
პური 1-ის ხარისხისა. 3
„ 2 „ 2¹/₂
თორნის წითელი პური 1-ის ხარ. 5 „
„ „ 2 „ 3¹/₂
„ „ 3 „ 3 „
ჭვავის მამის პურის ლავაში
1-ლის ხარისხისა. . . . 5 „
მე-2 ხარისხისა . . . . 4 „
მე-3 — . . . . . „ „
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
„ 2 „ 7 „
სუკი. . . . . . . . 14 „
ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
ღორის ხორცი . . . . . „ „
„ 2 „ „ „ „

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შევლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდაი და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს ჰადაზე გემები.



# განცხადებანი

მიხ. ალ. ნასიძე

გადავიდა ელისაბედის ქუჩაზედ, კუკიაში, ბერიევის სახლებში, № 100. იყვანს კულანდებულად მოწაფეთ მოსამზადებლად საშუალო და საქალაქო სასწავლებლების პირველ კლასისთვის. (15—11)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

**გორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ანანიაშვილისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

სამკურნალო აბანო

ს. ნოქალაქევში (სენაკის მაზრაში)

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ნოქალაქევის აბანო, გასულს ზაფხულში ცეცხლისაგან დაზიანებული, ხელ-ახლად განვაახლეთ, სახლები ავაშენეთ და წინანდელზე ბევრად კუეთ მოვაწყვეთ. მსურველთ შეუძლიანთ ისარგებლონ პირველ ოქტომბრამდე.

აბანოს მმართველი ლევან ქავთარაძე

(2—2)

„წერა-კითხვის“ წიგნის მაღაზიამ შეიძინა

ჟურნალ **„ნობათი“**-ს

ყველა ნომერი, გარდა სანიმუშოსი, რომელიც სრულებით აღარ მოიპოვება გასასყიდად. ყველა ნომერი ერთად, რიცხვით ათი წიგნი, ზედ დამატებით ცალკე წიგნად დაბეჭდილ წიგნისა «დომკაცი»,—სულ თერთმეტი წიგნი ღირს

**2 მან.**

ვინც ტფილისს გარეშე დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი მეიდველმა უნდა იკისროს.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

**პატარა კახი**

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ახალი წიგნი:

ისტორია მართლ-მადიდებელ ეკლესიისა,

შედგენილი

მოსე ჯანაშვილის-მიერ.

ფასი წიგნისა 40 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი:

ქართული-რუსული

**ლექსიკონი**

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება რ. ერისთავისა II ნაწილი . . . . | „ | 40 |
| ქეტევანი, მოთხრობა ან. ფურცელაძისა . . . . | „ | 15 |
| ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდის, ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა . . . . . . | „ | 50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა, ლექსად, ბაჩანასი | „ | 15 |
| კიკოლას ნაამბობი, ისტორიული პოემა აკაკისა . | „ | 20 |
| განკიცხული, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა . . . | „ | 60 |
| ძეგლის დება მეფე გიორგი ბრწყინვალისა, იურიდიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა . . . . | „ | 25 |

უმაღლესად დამტკიცებული კავკასიის სააფთიაქო საქონლის ვაჭრობის ამხანაგობაში

მიღებულია დასხნულებულ ვაზების საქმოდ:

**ვერმორელის აპარატები**

და ზოგიერთი სათადარიგო მოწყობილობა (ვინიცობაა, აპარატს გაუტყდა რამე), საბერველები გოგირდის ფხვნილისათვის, საუკეთესო ინგლისური შაბიამანი, გოგირდის ფხვნილი (сѣрный цвѣтъ) და სხვ.

ვინც ვერმორელის აპარატებს გამოიწერს, იმას დაეთმობა მეურნე გ. დ. ინანოვის წიგნი რუსულ ენაზე.

„მოკლე პრაქტიკული დარიგება ვენახების საქმოდ“.

სხვა-და-სხვა მოწყობილობა და მასალა

ღვინისა და ვენახის წვენის გასაწმენდად და გამოსაკვლევად.

ვისაც ყიდვა სურს, ბე უნდა გამოგზავნოს.

(50—25)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**„ისტორიული ნარკვევი“**

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ხაშურში—თავნაჩაბაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

1890 г. ОТКРЫТА ПОДПИСКА НА ГОДЪ 2-Й.

**ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ,**

издаваемое этнографическимъ отдѣломъ императорскаго общества любителей естествознанія антропологіи и этнографіи, состоящаго при императорскомъ московскомъ университетѣ,

ПОДЪ РЕДАКЦІЕЙ СЕКРЕТАРЯ ОТДѢЛА **Н. А. ЯНЧУКА,**

при участіи слѣдующихъ лицъ: проф. *В. Б. Антоновича*, проф. *Д. Н. Анучина*, *В. И. Ашмарина*, проф. *Д. И. Багалѣя*, *Е. В. Барсова*, *П. М. Богаевскаго*, акад. *Ѳ. И. Буслаева*, *М. К. Васильева*, акад. *Александра Н. Веселовскаго*, проф. *Алексѣя Н. Веселовскаго*, *Н. Л. Гондатти*, *А. Н. Грена*, *С. Я. Дерунова*, проф. М. *С. Дринова*, *И. Е. Забѣлина*, *В. К. Зейдлица*, *А. А. Ивановскаго*, *П. В. Иванова*, А. А. *Кизми*, *В. В. Каллаша*, *В. В. Кандинскаго*, проф. А. *И. Кирпичникова*, М. М. Ковалевскаго, проф. *Ѳ. Е. Корша*, *Г. И. Куликовскаго*, *Ю. Н. Мельгунова*, проф. *В. Ѳ. Миллера*, *П. Н. Милюкова*, *В. М. Михайловскаго*, проф. А. А. *Потебни*, А. *Н. Пыпина*, *Е. Р. Романова*, *Н. И. Сизова*, проф. *И. Н. Смирнова*, проф. А. *И. Соболевскаго*, проф. *М. И. Соколова*, *Е. Т. Соловьева*, проф. *Н. Ѳ. Сумцова*, проф. *Н. С. Тихонравова*, *В. К. Трутовскаго*, проф. *Г. А. Халетова*, А. *Н. Харузина*, *Н. Н. Харузина*, А. *С. Хаханова*, *П. В. Шейна*, *Н.* М. *Ядринцева*, *Е. И. Якушкина* и др.

Изданіе посвящено всестороннему изученію быта всѣхъ народностей Россіи, при чемъ ближайшими предметами статей и изслѣдованій будутъ служить слѣдующіе вопросы:

1. Вѣрованія, обычаи, обряды.
2. Народная словестность, языкъ.
3. Народная музыка и др. искусства.
4. Народная медицина.
5. Юридическій бытъ: родовое и сословное устройство, семья, община и т. д.
6. Матеріальный бытъ, преимущественно въ связи съ бытомъ духовнымъ.
7. Историческая и доисторическая этнографія.
8. Обзоръ жизни и дѣятельности русскихъ этнографовъ.

Кромѣ изслѣдованій по частнымъ вопросамъ, будутъ помѣщаться также статьи общаго методологическаго характера, имѣющія руководящее значеніе.

Обширный **библіографическій отдѣлъ** изданія заключаетъ въ себѣ:

1. Отзывы о новыхъ книгахъ, объ изданіяхъ ученыхъ обществъ, земствъ и статистическихъ комитетовъ, по скольку таковыя касаются вопросовъ этнографіи.
2. Подробный обзоръ по возможности всѣхъ столичныхъ и провинціальныхъ періодическихъ изданій: ежемѣсячныхъ, еженедѣльныхъ, ежедневныхъ и др., съ указаніемъ находящагося въ нихъ этнографическаго матеріала.
3. Обзоръ и указатель иностранныхъ книгъ и изданій, въ особенности касающихся этнографіи Россіи и смежныхъ народностей.

Въ отдѣлѣ **„Смѣси“** сообщаются мелкіе этнографическіе матеріалы.

Наконецъ, въ **„Извѣстіяхъ и Замѣткахъ“** помѣщаются обзоры дѣятельности ученыхъ обществъ и др. учрежденій, свѣдѣнія о музеяхъ, выставкахъ, съѣздахъ, экспедиціяхъ и т. п.

По мѣрѣ возможности бутутъ даваться также **приложенія**: портреты этнографовъ, образцы народной музыки, узоровъ и т. п.

„ЭТНОГРАФИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“ выходитъ **4-мя** книжками въ годъ (въ 12—15 листовъ каждая) приблизительно въ слѣдующіе сроки: 1-я кн.—въ началѣ марта, 2-я—въ началѣ іюня, 3-я—въ концѣ сентября, 4-я—въ концѣ декабря.

Цѣна годовому изданію безъ перес. **4 р. 50 к.**, съ перес. **5 р.**, заграницу **6 р.** Отдѣльныя книжки, какъ вновь выходящія, такъ и вышедшія, продаются въ складѣ Общества (Москва, Политехническій Музей) и въ книжныхъ магазинахъ по **1 р. 50 к.** съ перес. Учащимся, сельскимъ учителямъ и священникамъ дѣлается уступка **40%**.

Подписка принимается въ канцеляріи Общества (Москва, *Политехническій Музей*) и въ книжныхъ магазинахъ А. С. Суворина, (Москва и Петерб.), Н. Карбасникова, (Моск., Петерб. и Варшава), А. А. Карцева (Москва), Н. И. Мамонтова (Москва) и А. Ланга (Москва). (10—



Тифлисъ, 6-го Іюля 1890 г. Типо-Литографія К. І. Месхіева и С. А. Полетаева уголъ Бароновской и Лорисъ-Мелик. д.